



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 149

2015 წლის 16 თებერვალი

ქ. თბილისი

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ
არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო
კვლევისათვის“ გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი
საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის
სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების
კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3
მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით
დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და
პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N1073968, 16.10.2015)
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „სახელმწიფო გრანტი
საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერ მემკვიდრეობის
სამეცნიერო კვლევისათვის“.
2. დამტკიცდეს სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი
საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერ მემკვიდრეობის
სამეცნიერო კვლევისათვის“ პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის
შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების
N2 დანართის შესაბამისად;

4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილე ძირითადი პერსონალის პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
9. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



2015 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“

პროგრამა და პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, მათ მოძიებას, აღრიცხვასა და სისტემატიზაციას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სფეროში.
2. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

2. კონკურსის პირობები

1. საკონკურსო განაცხადის (შემდგომში - პროექტი) ფონდიდან მოთხოვნილი წლიური დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.
2. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.
3. პროექტს შესაძლებელია ჰქონდეს თანადაფინანსება ან ითვალისწინებდეს თანხების მოზიდვას უცხოური სამეცნიერო ფონდებიდან ან სხვა დონორი ორგანიზაციებიდან, რომელიც მიმართული იქნება კვლევის განსახორციელებლად.

3. კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია წამყვან ორგანიზაციას სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და თანამონაწილე ორგანიზაციას, ან ორგანიზაციებს